

# საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის მიზითადი ასპექტები



2016

# **საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის მიღითადი ასპექტები**

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: განახა ბიწაძე-მიქელაძე, ირინა ვებგარაძე

## **სარჩევი**

რეზიუმე .....	3
შესავალი .....	4
პრობლემის აღწერა .....	5
პრობლემის გადაჭრის გზები.....	12
რეკომენდაციები .....	18
დასკვნა .....	18
ბიბლიოგრაფია .....	19

## რეზიუმე

პოლიტიკის დოკუმენტი ეძღვნება საარჩევნო სისტემების ანალიზის საფუძველზე, არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველოსათვის ისეთი საარჩევნო სისტემის შემუშავებას, რომელიც ყველაზე კარგად მიესადაგება ქართულ სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ გარემოს. დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საარჩევნო სისტემის, როგორც არჩევითობის პრინციპის ერთიანი სისტემის, ჩამოყალიბების მექანიზმზე, რომლის ეფექტურობაზეც დამოკიდებულია საარჩევნო ინსტიტუციის უმთავრესი პოლიტიკური არსის – „სახალხო სუვერენიტეტის“ იდეის რეალიზაცია.

ნაშრომში, ისტორიული გამოცდილების ჭრილში და თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით, გამოკვეთილია საქართველოს საარჩევნო სისტემაში არსებული ხარვეზები, გაანალიზებულია საარჩევნო სისტემების ტიპოლოგიზაცია და მათი ასპექტები, განხილულია კონსტიტუციური ცვლილებების გავლენა საარჩევნო გარემოზე და შემუშავებულია თანამედროვე საარჩევნო სამართლის პრინციპებისა და კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული ქართული პოლიტიკური სივრცის რელევანტური საარჩევნო სისტემის ალტერნატივები.

კვლევის შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობითა და ექსპერტული ნარატივის გათვალისწინებით, უპირატესობა ერთადგერთი გადაცემადი ხმის სისტემას მიენიჭა, რომელიც ყველაზე ადეკვატურად უპასუხებს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე საქართველოს საარჩევნო სისტემა დგას.

დასკვნის სახით, აღნიშნულია, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, პოლიტიკის დოკუმენტში სწორედ ის საკითხები და მოვლენებია განხილული, რაზეც გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებაა დამოკიდებული. საერთაშორისო გამოცდილებასა და დასავლური ცივილიზაციის დემოკრატიულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ქართული რეალობის რელევანტური საარჩევნო სისტემის მოდელის შემუშავება ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას შექმნის, რაც ხელს შეუწყობს ელექტორატის ნდობის გაზრდას საარჩევნო პროცესებისადმი, ხელისუფლებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმაციის ხარისხის ზრდას, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებას და დემოკრატიის განმტკიცებას.

## შესავალი

თანამედროვე დემოკრატიის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკურ დასაყრდენად იქცა და რომლის ექსპორტიც ყოფილ სოციალისტურ ბანაკში განხორციელდა, წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, რომელიც შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების ხმათა უმრავლესობით ხორციელდება, არჩევნები კი ის ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქე სახელმწიფო ორგანოების ფორმირების პროცესში ჩართული. დემოკრატიული არჩევნების უმთავრესი არსი „სახალხო სუვერენიტეტის“ იდეის რეალიზაციის კონკრეტული საშუალებაა. არჩევნების როლი დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. არ არსებობს დემოკრატიის თანამედროვე დეფინიცია, რომელიც უგულებელყოფს თავისუფალი, სამართლიანი, ინკლუზიური და რეგულარული არჩევნების ჩატარებას, როგორც დემოკრატიის მინიმალურ მოთხოვნას.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა იყენებს არჩევნებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არჩევისა და განახლების ერთადერთ დეგიტიმურ გზას. ამავე დროს, არჩევნები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს ელემენტსაც წარმოადგნს, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების ორგანოები დებულობენ დეგიტიმაციას – ე.ი. სახალხო მხარდაჭერას და აღიარებას. არჩევნების საბოლოო მონაცემები, თუკი ის პატიოსანი შეჯიბრის შედეგს წარმოადგენს, ამომრჩეველთა განწყობას და ქვეყნის განვითარების ტენდენციას ასახავს. არჩევნების სამართლიანობის დონე, ერთი მხრივ, ქვეყნის დემოკრატიულობის საფუძველს ქმნის, მეორე მხრივ, მისი მდგრადობა, სწორედ დემოკრატიული რეჟიმის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. ეს ორი ფაქტორი სახელმწიფოში დემოკრატიულ სივრცეს ამკვიდრებს, მათი ურთიერთდაცულობის გარანტია კი ხელს უწყობს ქვეყანაში მდგრადი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონაბას.

საარჩევნო სამართლის რეალიზაცია და სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების შედეგები არსებითად დამოკიდებულია მისი განხორციელების საშუალებების კომპლექსურ-სამართლებრივ მექანიზმზე საარჩევნო სისტემის სახით, რომელიც წარმოადგენს კანონმდებლობით დარეგულირებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის საშუალებით ხდება ამომრჩევლის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ამოქმედება, ხმის მიცემის პროცედურისა და არჩევნების შედეგების განსაზღვრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება მნიშვნელოვანწილად საარჩევნო კანონსა და მის მიერ დარეგულირებულ საარჩევნო სისტემაზეა დამოკიდებული.

საარჩევნო სისტემა ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს, რაც იმით აიხსნება, რომ დემოკრატია საზოგადოებაში ვერ იარსებებს უფლებამოსილი წარმომადგენლის გარეშე, რომელიც საზოგადოების საქმეების სამართავად ყალიბდება, ხოლო ასეთი წარმომადგენლობა დემოკრატიული იმ

შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი თავად საზოგადოება მონაწილეობს მის ფორმირებაში.

იდეალური საარჩევნო სისტემაარ არსებობს, ამიტომ სუვერენული ქვეყნისათვის საარჩევნო სისტემის შერჩევა ავტონომიურ საკითხს წარმოადგენს და პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების კონსენსუსით მიიღწევა. ტერმინი „საარჩევნო სისტემა“ ფართო ცნებაა და მას ექსპერტები სხვადასხვა დატვირთვას აკისრებენ. საარჩევნო სისტემა ვიწრო გაგებით გულისხმობს საარჩევნო სუბიექტებისათვის ხმის მიცემის მექანიზმსა და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში მანდატების განაწილების წესს (საარჩევნო ფორმულა), ანუ ე. წ. „მანდატებისა და ხმების კავშირი“, ხოლო საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით მოიცავს ქვეყანაში საარჩევნო მოწყობის მთელ სისტემას, რომელიც კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით რეგულირდება. არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად საარჩევნო სისტემის ორივე ასპექტი ეფექტურად უნდა ხორციელდებოდეს.

### **საარჩევნო სისტემების ტიპოლოგიზაცია**

მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების პრაქტიკულ რეალიზებას ძირითადად კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემის თავისებურებები განაპირობებს, ანუ ის, თუ რომელი პრინციპი უდევს საფუძვლად არჩევნების შედეგების შეჯამებას – უმრავლესობის თუ თანაფარდობის. სწორედ ამ ნიშნით განასხვავებენ, ერთი მხრივ, მაჟორიტარიზმის პრინციპს, რომელიც (ტერმინი ფრანგული წარმოშობისაა („majoritee“ და „უმრავლესობას“ ნიშნავს) არჩევნებში გამარჯვებულად იმ კანდიდატს ან კანდიდატთა ჯგუფს მიიჩნევს, ვინც სხვაზე მეტ ხმებს მოიპოვებს; მეორე მხრივ, პროპორციონალიზმის პრინციპს, რომელიც ლათინური სიტყვიდან წარმოდგება და „ნაწილების მიხედვით“ განაწილებას, ანუ არჩევნების შედეგად პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილი სიებით მოპოვებული ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად გადანაწილებას გულისხმობს.

საარჩევნო პროცესში აღნიშნული პრინციპების ამოქმედებამ საუკუნეების მანძილზე ორი ძირითადი – მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება განაპირობა. მათი შედარებისას ცნობილი საზოგადო მოღვაწე მიშელ როკარი აღნიშნავდა, რომ „მაჟორიტარული სისტემა ძალზე უხეშია, პროპორციული – ძალზე საშიში“, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინათ სისტემების დადებითი მახასიათებლები და შეერბილებინათ მათი ნაკლოვანებები, მეორე მსოფლიო ომის შედეგ დაიწყო შერეული სისტემის ფორმირება. დღეისათვის კონსტიტუციონალიზმში სამივე საარჩევნო სისტემა, მათში დამკვიდრებული თავისებურებების გათვალისწინებით, რამდენიმე კომბინირებული მოდიფიკაციის სახით არის წარმოდგენილი. მათი აქტუალობიდან გამომდინარე, განვიხილოთ, რა ასპექტები გააჩნია თითოეულ მათგანს.

**პლურალურ-მაჟორიტარული, ანუ უმრავლესობის საარჩევნო სისტემა არჩევნების შველაზე ძველი და გავრცელებული ფორმაა. მართალია, იგი სათავეს ანტიკურ ხანაში იღებს, მაგრამ სახელწოდება ფრანგული წარმოშობისა აქვს (majoritee), რაც**

„უმრავლესობას“ ნიშნავს. შესაბამისად, მაჟორიტარულ სისტემას საფუძვლად უმრავლესობის პრინციპი უდევს. არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი ან პარტია, რომელიც დააგროვებს ხმათა დადგენილ უმრავლესობას – ფარდობითს, აბსოლუტურს ან კვალიფიციურს, თუმცა ამის პრაქტიკულად განხორციელების გზები საკმაოდ განსხვავებულია. ცნობილია პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის შემდეგი სახესხვაობა:

- უბრალო/ფარდობითი უმრავლესობის საარჩევნო სისტემა
- ბლოკური კენჭისყრა/კუმულატიური ვოტუმის სისტემა
- პარტიული ბლოკური კენჭისყრა
- ალტერნატიული კენჭისყრა
- ორტურიანი /აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა
- კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა.

მაჟორიტარული სისტემა უმეტესწილად ერთმანდატიან ოლქებში გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქში გამოყენებაც.

უბრალო /ფარდობითი უმრავლესობის საარჩევნო სისტემა მაჟორიტარულ სისტემათა შორის ყველაზე მარტივია. იგი ერთმანდატიან ოლქში კანდიდატზე ორიენტირებული კენჭისყრის დროს გამოიყენება. იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც ხმათა უბრალო/ფარდობით უმრავლესობას მოაგროვებს, მას ინგლისურ მოდელსაც უწოდებენ. ზოგიერთი ქვეყანა ადგენს ხმების მინიმალური ოდენობის ზღვარს, რაც გამარჯვებისათვის არის აუცილებელი. ასეთ შემთხვევაში კანდიდატი გამაჯვებულად ჩაითვლება, თუ მან მიიღო ხმების უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ ნამდვილი ხმების განსაზღვრული ოდენობისა.

სისტემა არჩევნებში გამარჯვების საშუალებას მსხვილ და კარგად ორგანიზებულ პარტიებს აძლევს, რაც მნიშვნელოვანია ეფექტური მთავრობის ფორმირებისთვის და სტაბილურობისათვის, ხელს უწყობს საკანონმდებლო ორგანოში ერთგვაროვანი ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რაც თეორიულად მთავრობის ალტერნატივად მოიაზრება. სისტემა ამომრჩევლისა და წარმომადგენლის უშუალო ურთიერთობის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. დეპუტატები ნაკლებად არიან დამოკიდებული პარტიულ კერტიკალზე. ფარდობითი უმრავლესობის სისტემა ძალზე მარტივია, მას ნაკლები დანახარჯი აქვს და ხმების დათვლაც გამარტივებულია, რაც უდავოდ სისტემის დადებითი შეარეა.

სისტემის ძირითადი ნაკლები ის არის, რომ მცირე ზომის პარტიებს გამორიცხავს „სამართლიანი წარმომადგენლობისგან“, უზრუნველყოფს ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი იკარგება, რითაც მახინჯდება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა რეალური სურათი გამარჯვებული პარტიის სასარგებლოდ, რაც პირდაპირ აისახება ლეგიტიმაციის ხარისხზე. ფარდობითი უმრავლესობის სისტემა შესაძლებელია დესტაბილიზაციის მიზეზადაც იქცეს, რადგან ხელისუფლების ცვლამ, შესაძლებელია, ქვეყნის განვითარების ვექტორის ცვლილება და საზოგადოების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, რაც საქართველოსთვის არარელევანტურია.

**ბლოკური კენჭისყრა/კუმულატიური ვოტუმის სისტემა** მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს, რამდენი მანდატიცაა გამოყოფილი ოლქზე.

მას შეუძლია, ეს მანდატები გადასცეს ერთ კანდიდატს ან გაანაწილოს სხვადასხვა კანდიდატებს შორის. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც ყველაზე მეტ ხმა მოაგროვებს. თუ კანონმდებლობა იძლევა ამის საშუალებას, ამომრჩეველმა ასევე შეიძლება გამოიყენოს „პაშანაჟი“, რაც სხვადასხვა პარტიულ სიაში მყოფი კანდიდატისათვის ხმის მიცემას გულისხმობს.

ამომრჩევლის ცალკეული კანდიდატისათვის ხმის მიცემის უფლება და პარტიების როლისა და მნიშვნელობის ზრდის ხელის შეწყობა უდავოდ ბლოკური კენჭისყრის ღირსებას წარმოადგენს, თუმცა სისტემას ხშირად არაპროგნოზირებადი და არასასურველი გავლენის მოხდენა შეუძლია არაპროპორციულობის თვალსაზრისით, რადგან რისკი იმისა, რომ ხმების აკუმულირება მოხდეს ერთი კანდიდატის გარშემო, საკმაოდ დიდია.

**პარტიული ბლოკური კენჭისყრა** მრავალმანდატიან ოლქებში გვხვდება. თითო ამომრჩეველს თითო ხმა აქვს და არჩევანს აკეთებს არა ცალკეულ პირებს შორის, არამედ კანდიდატების პარტიული სიიდან. პარტია, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს, ოლქზე გამოყოფილ ყველა მანდატს მიღებს და მოხდება მისი კანდიდატების არჩევა.

სისტემის უპირატესობას მისი მექანიზმის სიმარტივე და პარტიების მიერ უმცირესობათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა წარმოადგენს, ხოლო უარყოფით მხარეს – არჩევნებში არაპროპორციული შედეგების მაღალი რისკი.

**ალტერნატიული კენჭისყრის** მეშვეობით არჩევნები, უბრალო უმრავლესობის სისტემის მსგავსად, ერთმანდატიან ოლქებში ტარდება, თუმცა, მისგან განსხვავებით, ამომრჩეველს მეტი არჩევანის საშუალება აქვს. ალტერნატიული კენჭისყრის დროს ამომრჩეველს, გარდა სასურველი კანდიდატისა, საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატების პრეფერენციაც შეუძლია. შ, ანუ ამომრჩეველი კანდიდატებს პრიორიტეტების მიხედვით აწყობს: N1 მიანიჭებს ყველაზე სასურველ კანდიდატს, შედეგ N2, N3 და ა.შ. ამგვარი სისტემით ამომრჩეველი ასახავს უპირატესობას კანდიდატებს შორის. ამის გამო ამ სისტემას პრეფერენციულ კენჭისყრასაც უწოდებენ (ბორდას დათვლა, ერთი გადაცემადი ხმის სისტემა და დამატებითი ხმა ასევე პრეფერენციულ სისტემას განეკუთვნება).

ალტერნატიული კენჭისყრა ხმების დათვლის პრინციპითაც განსხვავდება ფარდობითი უმრავლესობის სისტემისგან. თუკი კანდიდატი მიიღებს კანონით დადგენილი ხმების რაოდნობას (ფარდობითს ან აბსოლუტურს), იგი მაშინვე გამარჯვებულად ცხადდება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ალტერნატიული კენჭისყრის დროს კანდიდატი, რომელმაც პირველი უპირატესობებით ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, „გამოეთიშება“ დათვლას და მეორე და შემდეგი უპირატესობები იქნება განხილულული. პროცესი გრძელდება იქამდე, ვიდრე ერთი კანდიდატი ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს. პარტიები კანდიდატების მიღებით დამოკიდებულებას ზრდის.

პრეფერენციის უპირატესობა ისაა, რომ იგი რამდენიმე კანდიდატის ხმების აკუმულირებას ახდენს, რაც წარმომადგენლობის დონეს ამაღლებს და მცირე შანსის მქონე კანდიდატის მხარდამჭერებს მაჟორიტარი კანდიდატის არჩევის საშუალებას აძლევს, რაც არჩეული წევრების მიმართ დადებით დამოკიდებულებას ზრდის.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ალტერნატიული კენჭისყრა რთული სისტემაა და გარკვეულ უნარებს მოითხოვს. იგი ერთმანდატიან ოლქებში ხშირად არაპროპორციულ შედეგებს იძლევა და ზუსტად ვერ ასახავს ამომრჩეველთა განწყობას.

**ორგურიანი/აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა** ჩვეულებრივ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ხშირად მას ფრანგულ მოდელსაც უწოდებენ, რადგან ის ტრადიციულად საფრანგეთში და მასზე დამოკიდებულ ან მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში დომინირებს.

ორგურიანი სისტემის მთავარი მახასიათებელი მისი სახელწოდებიდან გამომდინარეობს. ეს ორგურიანი პროცესია, სადაც პირველ ტურში გამარჯვებულის გამოსავლენად კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობის, ანუ 50%+1-ის, მხარდაჭერად საჭიროა. თუკი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს, ორი კვირის ვადაში ინიშნება მეორე ტური.

მეორე ტური სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მეთოდით ტარდება. ერთ შემთხვევაში იგი ორ ყველაზე წარმატებულ მონაწილეს შორის შეჯიბრია, ამიტომ ამ მეთოდს მაჟორიტარული, ორგურიანი შეჯიბრება ეწოდება და გამარჯვებულად ცხადდება ხმათა უბრალო უმრავლესობის მფლობელი.

სხვა შემთხვევაში და, კერძოდ, საფრანგეთში, მეორე ტურში გადადის კენჭისყრის ყველა მონაწილე, რომელიც პირველ ტურში ამომრჩეველთა ხმების 12,5%-ზე მეტს მიიღებს. გამარჯვებულად კი ცხადდება ის კანდიდატი, რომელიც ხმების უმრავლესობას დააგროვებს.

სისტემა, პრაქტიკულად, ალტერნატიული კენჭისყრის პრეფერენციულ მახასიათებლებს იზიარებს, როდესაც ამომჩეველს ტურებს შორის აზრის ცვლილების საშუალებას აძლევს. იგი პარტიებსა და კანდიდატებს შორის მოლაპარაკებასა და შეთანხმებას უწყობს ხელს და ამცირებს ხმების გახლებზის საშიშროებას, რაც პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის სხვა მოდელებს ახასიათებს და რაც მისი პოზიტიური მხარეა.

ამავე დროს, მეორე ტური დიდი ტვირთია ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (ცესკო) როგორც დროის, ისე დანახარჯების თვალსაზრისით. ტურებს შორის დიდია არასტაბილურობისა და გაურკვევლობის ალბათობა, მეორე ტურში დაბალია ამომრჩეველთა დასწრება. არჩევნების შედეგები არაპროგნოზირებადია, რაც სისტემის ნაკლს წარმოადგენს.

**კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა** – ესაა სისტემა, სადაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი ან პარტია, რომელიც მიიღებს ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას, რომელიც კანონით არის დადგენილი და ყოველთვის აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტია – 2/3 ან 3/4.

მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლის განწყობა უფრო ზუსტად გამოიხატება, ამ სისტემას იშვიათად იყენებენ პარლამენტის ასარჩევად, რადგან საკმაოდ რთული მექანიზმია და სახელმწიფოს მხრიდან დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

**პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები.** მაქორიტარული სისტემების დახვეწის პროცესში უფრო სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო სისტემის შექმნის მცდელობამ განაპირობა პროპორციული საარჩევნო სისტემის შექმნა, რომელიც 1888 წელს სერბეთში და 1889 წელს ბელგიაში გამოიყენეს.

პროპორციული წარმომადგენლობა აღწერს იმ საარჩევნო სისტემათა ჯგუფს, რომელიც მრავალმანდატიანი ოლქებიდან წარმომადგენელთა არჩევის დროს გამოიყენება. პროპორციული არჩევნები წმინდა წელის პარტიული არჩევნებია, ვინაიდან ერთმანეთს პარტიების, პარტიათა ბლოკების ან ერთიან საარჩევნო პლატფორმაზე მყოფი პოლიტიკური ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პოლიტიკოსები უპირისპირდებიან, მანდატები კი მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. სისტემა გამოიყენება მრავალმანდატიან ან იშვიათად ორმანდატიან საარჩევნო ოლქებში, პატარა სახელმწიფოებში შესაძლოა მთელი ქვეყანა ერთ საარჩევნო ოლქად იქნეს წარმოდგენილი.

პროპორციული სისტემა დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც კონტინენტურ ევროპაში, ისე დათინურ ამერიკაში.

**პროპორციული სისტემის სახესხვაობებია:**

- პროპორციული არჩევნები ტარდება საერთო-სახელმწიფო დონეზე (ამომრჩეველი ხმას აძლევს პოლიტიკურ პარტიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით)
- ქვეყანა იყოფა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებად ( სადეპუტატო მანდატები ნაწილდება საარჩევნო ოლქებში პარტიათა გავლენის მიხედვით).

პროპორციული წარმომადგენლობის ყველა სისტემა მუდმივად ცდილობს, შეამციროს განსხვავება პარტიის მიერ ქვეყნის დონეზე მიღებული ხმების წილსა და მის მიერ მოპოვებული საპარლამენტო მანდატების წილს შორის, მაგ.: თუ პარტია ხმების 40%-ს მიიღებს, მან საკანონმდებლო ორგანოში მანდატების იმდენივე პროცენტი უნდა მოიპოვოს. პროპორციულობა ხშირად პარტიული სიების (სიითი პროპორციული წარმომადგენლობა) გამოიყენებით მიიღწევა. არსებობს სიების სამი სახეობა: ხისტი (დახურული), ნახევრად ხისტი და თავისუფალი, ასევე წარმატებით მოქმედებს პრეფერენციული კენჭისყრა.

**ხისტი სიების სისტემა** – ასარჩევი კანდიდატების რიგითობა ფიქსირებულია თვითონ პარტიის მიერ და ამომრჩეველს არ შეუძლია კონკრეტული კანდიდატის მიმართ პრეფერენციის გამოხატვა, არ შეუძლია, თავად განსაზღვროს, ვინ იქნება მისი პარტიის წარმომადგენელი. სისტემა გამოიყენება საბერძნეთში, ისრაელსა და ესპანეთში. **ნახევრად ხისტი სიების სისტემა** – პარტიული სიის სათავეში მყოფი კანდიდატი გარანტირებულად იღებს მანდატს, ხოლო დანარჩენი მანდატები ნაწილდება პრეფერენციების მიხედვით, ანუ ამომრჩეველი სიაში კანდიდატებს იმ თანმიმდევრობას ადგენს, რომელიც მას მოსწონს. სისტემა გამოიყენება ავსტრიაში, დანიასა და ნიდერლანდებში.

**თავისუფალი სიების სისტემა** – გულისხმობს ხმის მიცემას დია პარტიული სიისათვის, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს არა მარტო სასურველ პარტიას, არამედ პარტიის

შიგნით სასურველი კანდიდატის პრეფერენციების უფლებაც აქვს. ეს სისტემა წარმატებით მუშაობს ბელგიაში. **ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა** – ეს სისტემა აერთიანებს შეზღუდული და კუმულატიური ვოტუმების ნიშნებს. ამომრჩეველს აქვს რამდენიმე ხმა, რომლებსაც იყენებს, როგორც ერთ გადაცემად ხმას. ამომრჩეველი თავის არჩევანს აკეთებს რიგითობის მიხედვით. ჯერ ითვლება პირველ რიგში მიცემული ხმები. აუცილებელი კვოტის დაგროვების შემდეგ ნამეტი ხმების რაოდენობა გადაეცემა მეორე ნომრად მითითებულ კანდიდატს. აღნიშნულ სისტემაში ყველაზე ნაკლებია ხმების დანაკარგი. სისტემა გამოიყენება ირლანდიაში, აგსტრალიაში და ზოგიერთი არჩევნების დროს ინდოეთში.

მანდატებისთვის გამოყენებულ ფორმულას, **კვოტას**, ანუ ხმების იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია საარჩევნო სიაში წარმოდგენილი ერთი დეპუტატის ასარჩევად, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პროპორციული წარმომადგენლობის შედეგებზე. გამოთვლის ხერხის გათვალისწინებით განასხვავებენ ბუნებრივ, ანუ **პარის კვოტას** და ხელოვნურს – **დრიუპის**, **დ'ჰონდტისა** და **სანტ-ლაგეს კვოტებს**. თითოეულ მათგანს საკუთარი ფორმულა და მეთოდი გააჩნია, რომელიც შესაბამისად რეგულირდება სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობაში.

პროპორციული სისტემებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ოლქების სიდიდე, ანუ რამდენი მანდატია გასანაწილებელი და „**პარისი**“, ანუ დადგენილი საპროცენტო ზღუდე, რომლის გადალახვაც სავალდებულოა, რათა პარტიამ თუ გაერთიანებამ მანდატების მიღების უფლება მოიპოვოს. ცნობილია, რომ რაც უფრო მეტი წარმომადგენლის არჩევა ხდება და რაც უფრო დაბალია ბარიერი, მით უფრო პროპორციულია საარჩევნო სისტემა, თუმცა ამას უარყოფითი ეფექტიც გააჩნია. პროპორციული სისტემის დადებითი მხარეებია:

- უზრუნველყოფს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოსახლეობის ჯგუფების წარმომადგენლობას.
- უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების არჩევას, ზრდის ქალთა არჩევის შანსს.
- ხელს უწყობს სტაბილური პარტიული სიების ჩამოყალიბებას და განვითარებას.
- პარტიის მიერ მიღებულ მანდატების რაოდენობა პროპორციულია მიღებული ხმების რაოდენობისა.
- მცირეა ხმების „დანაკარგი“.
- ასახავს ქვეყანაში მოქმედ ძალთა ბალანსს, განამტკიცებს მრავალპარტიულობას და პოლიტიკურ პლურალიზმს.
- სისტემა გამოირჩევა თავისი ეკონომიკურობით.

პროპორციული სისტემის უარყოფითი მხარეებია:

- სუსტია კავშირი პარლამენტსა და ამომრჩეველს შორის.
- ძლიერია კანდიდატების დამოკიდებულება პარტიულ ვერტიკალზე.
- როგორდება მთავრობის ფორმირება.

- არადემოკრატიულ გარემოში სიებს პარტიის ლიდერი ადგენს პირადი ერთგულების ნიშნით.
- დახურული სიების დროს ამომრჩეველს არა აქვს საშუალება იმ ადამიანების ვინაობის განსაზღვრის, რომლებიც პოტენციურად მისი წარმომადგენლები უნდა გახდნენ პარლამენტში, ამის გამო, არცთუ იშვიათად, არჩეულ პირთა შორის ისეთებიც ხვდებიან, რომელთა ფუნქცია მხოლოდ კვორუმის შექმნა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის.
- დაბალი საარჩევნო ბარიერის შემთხვევაში, მრავალპარტიული სისტემის ფონზე, სისტემა ვერ უზრუნველყოფს თავისი დადებითი თვისებების გამოვლენას, იწვევს პოლიტიკურ ძალთა სიჭრელესა და პარლამენტში მათი თანამშრომლობის პრობლემებს ქმნის, რაც მთავრობის ფორმირებაზე აისახება.
- მაღალი საარჩევნო ბარიერის პირობებში დიდია ამომრჩევლის ნების ცდომილების ხარისხი, რაც ძირითადად პატარა პარტიების ხარჯზე დაკარგული ხმების რაოდენობაში გამოისახება.

**შერეული საარჩევნო სისტემები** პლურალურ/მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემების დადებითი მახასიათებლების კომბინაციას ცდილობს. შერეულ სისტემაში ორი საარჩევნო სისტემა, რომელიც განსხვავებულ ფორმულას იყენებს. ხმას ერთი და იგივე ამომრჩეველი აძლევს და წარმომადგენლებს ორივე სისტემის მიხედვით ირჩევს. ორივე სისტემის ერთობლივი ამოქმედება მიმართულია თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანების ნეიტრალიზებაზე და დადებითი თვისებების კოოპერირებაზე, ანუ მთლიანად საარჩევნო სისტემის სრულყოფაზე.

შერეული სისტემები, მათში მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ურთიერთქმედების გათვალისწინებით, იყოფა პარალელურ და შერეული წევრობის პროპორციულ სისტემებად, ხოლო მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების თანაფარდობის მიხედვით – სიმეტრიულ და ასიმეტრიულ შერეულ სისტემებად. **პარალელური სისტემების** შემთხვევაში მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები ცალ-ცალკე გამოიყენება და მათი შედეგები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებს მანდატების რაოდენობაზე. პარალელური სისტემები 21 ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორისაა სომხეთი, გვინეა, იაპონია, რუსეთი, უკრაინა, საქართველო და სხვ.

**შერეული წევრობის პროპორციული სისტემის** შემთხვევაში კი დეპუტატები აირჩევიან ერთდროულად როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით, მათი შედეგები დაკავშირებულია ერთმანეთზე და ხდება წარმოქმნილი დისპროპორციის კომპენსირება. სისტემა გამოიყენება გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, მექსიკაში, ვენესუელაში, ახალ ზელანდიაში, ბოლივიაში, ალბანეთში და სხვ.

**სიმეტრიული შერეული საარჩევნო სისტემა** გულისხმობს მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების თანაბარ რაოდენობას. ასეთი სტრუქტურა მოქმედებდა რუსეთის დუმის, უკრაინის უმაღლესი რადის და ბულგარეთის დიდი

ეროვნული კრების ფორმირებისას. **ასიმეტრიული სისტემა** კი გულისხმობს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების არათანაბარ შეხამებას. საქართველოში გამოიყენება პარალელური, ასიმეტრიული, შერეული საარჩევნო სისტემა. ძნელია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა იმისა, თუ რომელი სისტემა უფრო ადეკვატურად და, მაშასადამე, დემოკრატიულად ითვალისწინებს ამომრჩეველთა აზრს. დასავლური ცივილიზაციისთვის მისაღებია საარჩევნო პრინციპის ორივე ვარიანტი, საერთაშორისო ტრადიციები გვიჩვენებს, რომ ანგლოსაქსური დემოკრატია მაჟორიტარულ არჩევნებს ანიჭებს უპირატესობას (დიდი ბრიტანეთი, აშშ), კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობა – პროპორციულს (შვეიცარია, შვედეთი, ლუქსემბურგი, ლიტვა, ლატვია ესტონეთი, ნიდერლანდები და სხვ), ხოლო სხვადასხვა ქვეყნებში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შერეული საარჩევნო სისტემები მოქმედებს (ალბანეთი, ბოლივია, გერმანია, უნგრეთი, იტალია, მექსიკა, ახალი ზელანდია, ვენესუელა, უკრაინა, სომხეთი აზერბაიჯანი, საქართველო და სხვ).

სტატისტიკურად, მსოფლიოს 199 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91-ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად გამოიყენება მაჟორიტარული სისტემა, 72 ქვეყნაში – პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა, 30-ში კი – შერეული სისტემა (დარჩენილი 6 ქვეყნის საარჩევნო პროცედურა არც ერთ ამ სისტემაში არ ჯდება). აქვე უნდა აღინიშოს, რომ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში მეტწილად პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოიყენება.

### **საქართველოს საარჩევნო სისტემისთვის დამახასიათებელი პრობლემები**

ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-პოლიტიკური სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვანი საგარანტიო ფაქტორი საარჩევნო სამართლის პრინციპების დაცულობა, სამართლებრივი მექანიზმებისა და საარჩევნო სისტემის პარამეტრების სტაბილურობაა, რასაც ვერ ვიტყვით დამოუკიდებელი საქართველოს 20-წლიან საარჩევნო პრაქტიკაზე, რომელიც წლების განმავლობაში პოლიტიკური ელიტის მმართველობის გახანგრძლივების მექანიზმს წარმოადგენდა და ოდნავი მსგავსებაც კი არ იყო ამ სფეროში დამკვიდრებულ ძირითად კანონზომიერებებთან და არჩევნების დემოკრატიულ სტანდარტებთან, რის გამოც არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ოპოზიციური სპექტრის კრიტიკის ობიექტი.

**საქართველოს მოქმედი საარჩევნო სისტემა.** საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არჩეული 150 დეპუტატისგან. არჩევნები ტარდება პარალელური, ასიმეტრიული შერეული სისტემის საფუძველზე. 77 მანდატი პროპორციული საარჩევნო სისტემით განაწილდება იმ პარტიებზე, რომლებიც 5%-იან ბარიერს გადალახვენ; მაჟორიტარული არჩევნები ტარდება 73 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში აბსოლუტური უმრავლესობის საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებისათვის კანდიდატს ესაჭიროება კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების აბსოლუტური უმრავლესობა – „50%+1“ ხმა. პროპორციული არჩევნები ტარდება საერთო-სახელმწიფო დონეზე დახურული სიების საფუძველზე.

**საარჩევნო სისტემის ხარგეზები.** საქართველოს საარჩევნო სისტემა, რომელიც დღემდე მოქმედებს, გარკვეული ხარგეზებით ხასიათდება. მათ შორის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლის მკვეთრად განსხვავებული რაოდენობა, რაც მნიშვნელოვნად არღვევს ხმის წონის თანაბრობის პრინციპს.

არსებული ხარგეზი არაერთხელ ყოფილა აღნიშნული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, „მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ერთმანდატიან ოლქებს შორის, მათ შორის, სხვაობა ამომრჩევლთა რაოდენობის მხრივ, ძირს უთხრის ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობის პრინციპს“. მისივე რეკომენდაციით, საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 10-15%-ს, საქართველოში კი ეს სხვაობა ხშირად სამნიშნა რიცხვით აღინიშნება, მაგ., ქუთაისის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ 163,654 ამომრჩეველსა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ 5 5779 ამომრჩეველს შორის სხვაობა 300%-ს შეადგენს.

უშალოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ახალი საარჩევნო ოლქების საზღვრების შექმნა ოლქების რაოდენობის ცვლილების გარეშე, ტექნიკური დაყოფის პრინციპით განხორციელდა. 13 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრები უცვლელი დარჩა, 38 ოლქის საზღვრები შეიცვალა, , ხოლო დედაქალაქის ოლქების რაოდენობა 10-დან 22-მდე გაიზარდა.

განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, ხარგეზის სრულად აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, რადგან ოლქების საზღვრების ცვლილებამ ხმის მიცემის თანაბრობის საერთაშორისო სტანდარტი ვერ უზრუნველყო.

გარდა ამისა, მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ პარტიის მიერ მიღებული ხმები პროპორციულად აისახოს მანდატებში, რაც არჩევნების სამართლიანობის პრინციპის უმნიშვნელოვანების კომპონენტს წარმოადგენს. ამასთანავე, არსებული საარჩევნო სისტემა ხელს არ უწყობს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობას. ამ თვალსაზრისით საქართველოს ევროპაში ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი აქვს და ვერ უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობისა და განსაკუთრებული ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში, რაც არღვევს ქვეყნის სრულ პოლიტიკურ სურათს.

## **ალტერნატიული გზები**

ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებაში არ წყდება დისკუსია არსებული საარჩევნო სისტემის პრობლემების იდენტიფიკაციისა და ქართული სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური რეალობისათვის რელევანტური საარჩევნო სისტემის რეფორმის და პრაქტიკაში მისი იმპლემენტაციის ირგვლივ.

დემოკრატიულ ფორმაციაში ცუდი და კარგი კონსტიტუციური ინსტიტუციები არ არსებობს, თუმცა ქართულ რეალობაში კამათი მაჟორიტარული სისტემის ავტორგიანობის შესახებ დღემდე არ ცხრება. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ მაჟორიტარები ხელისუფლებისთვის უმრავლესობის შექმნის გარანტის წარმოადგენენ და რეგიონს და

ამომრჩეველს ცრუ იმედს უჩენს, თითქოს მას პყავს წარმომადგენელი პარლამენტში; მეორენი თვლიან, რომ სისტემა კარგია, მიდგომები და რეგულაციებია დასახვეჭი, რათა მაჟორიტარებს თავნებობის საშუალება შეეზღუდოს. ისინი თვლიან, რომ ამომრჩევლისათვის სახალხო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვა პარტიული ორგანიზაციის შესაძლო განვითარების საბაზით არამიზანშეწონილია. თუმცა ოპონენტები თანხმდებიან საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ საქართველოს ბიკამერალური პარლამენტის პირობებში, მაჟორიტარული სისტემის რელეგანტურობაზე. აქვე გასათვალისწინებელია საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი და ისტორიული გამოცდილება, სადაც მუდამ აქტუალური იყო რეგიონული საკითხები. ამჟამადაც ამომრჩევლის ნებაა, პყავდეს რეგიონული წარმომადგენელი პარლამენტში, როგორც მისი განვითარების გარანტი, ეს კი ორივე სისტემას ხელეწიფება – როგორც პროპორციულს, ისე მაჟორიტარულს.

ქვემოთ მოცემული საარჩევნო სისტემები აქტიურად განიხილება საარჩევნო რეფორმის თაობაზე დისკუსიის მსვლელობისას. მათი დირსებისა და ნაკლის შეჯერებით, გამოიკვეთება ის სისტემა, რომელიც ყველაზე რელეგანტურად მიიჩნევა ქართული სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური გარემოსათვის. ახალი საარჩევნო სისტემის შერჩევისათვის იდენტიფიცირებული და განხილული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

- ამომრჩევლის ხმის თანაბრობა;
- პროპორციულობის პრინციპის დაცვა;
- ეთნიკური უმცირესობისა და განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების წარმომადგენლობითობა;
- გენდერული თანასწორობა;
- მთავრობის ეფექტურობა;
- პარტიული სისტემების როლის აღიარება;
- ამომრჩეველთა გავლენა არჩევნების შედეგებზე და შემდგომ პროცესებზე;
- სამართლიანობა არჩევნებში მონაწილეობა შორის;
- ლეგიტიმურობა.

**ამომრჩევლის ხმის თანაბრობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიული გამოცდილება, გეოგრაფიული საზღვრები, ეთნიკური შემადგენლობა და სხვა კრიტერიუმები.**

**I ალტერნატივა** – შერეული წევრობის პროპორციული სისტემა, ე.წ. „გერმანული მოდელი“, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ერთი ნაწილის მიერ იქნა შემოთავაზებული, რომელიც არსებული სისტემის შენარჩუნებას ითვალისწინებს (ამომრჩეველს ორი ხმა აქვს – ერთი პარტიისთვის და ერთი მაჟორიტარი კანდიდატისთვის). არსებითი ცვლილებით, კერძოდ, სისტემის ფარგლებში პროპორციული წარმომადგენლობის მანდატი გაიცემა იმ თანაზომიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც საოლქო მანდატების შედეგიდან წარმოიქმნება.

მაგალითად, თუ ერთი პარტია ქვეყნის მასშტაბით ხმების 10%-ს დააგროვებს, მაგრამ ოლქის მანდატებს ვერ მოიპოვებს, მაშინ მას პროპორციული წარმომადგენლობის სიებიდან საკმარისი მანდატები გადაეცემა, რათა საკანონმდებლო ორგანოში მისი წარმომდგენლობა მანდატების 10%-ს ფლობდეს. ამომრჩეველს შეიძლება ცალკეული არჩევანიც მიეცეს, როგორც გერმანიასა და ახალ ზელანდიაში. ამას გარდა, ამომრჩეველმა შესაძლოა მხოლოდ ერთი არჩევანი გააკეთოს, სადაც პარტიის ხმების მთლიანი რაოდენობა გამოითვლება ინდივიდუალური საოლქო კანდიდატების ხმების მთლიანი რაოდენობიდან გამომდინარე.

პარლამენტი თავდაპირველად კომპლექტდება არჩეული მაჟორიტარებით, დარჩენილი ადგილები ნაწილდება პარტიებს შორის პროპორციულად. თუ პარტია მაჟორიტარული არჩევნებით უფრო მეტ მანდატს მიიღებს, ვიდრე პროპორციული სისტემით, მას ემატება ე.წ. „ზემანდატები“. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ სისტემა არაკონსტიტუციურად მიიჩნია, რადგან იგი დამატებითი მანდატების რაოდენობას არაპროპორციულად ზრდის.

სისტემა ბევრ ახალ პარტიას პოლიტიკაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ პოლიტიკა უფრო პერსონიფიცირებულია და ნაკლებადაა პარტიულ ვერტიკალზე დამოკიდებული. გერმანელი ამომრჩევლის შესაძლებლობა, ხმა მისცეს პარტიას და იმ კანდიდატს, რომელიც ამ პარტიას არ განეკუთვნება, ხშირად კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას იწვევს და პარტიებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს. სისტემა წარმატებით გამოიყენება გერმანიასა და ახალ ზელანდიაში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად.

სისტემის დადებითი მხარეებია: პროპორციულობა; ინკლუზიურობა; გეოგრაფიული წარმომადგენლობა; კავშირი ამომრჩეველსა და არჩეულს შორის; პარტიული ვერტიკალის შესუსტება; ახალი შესაძლებლობა პატარა პარტიებისთვის; ეთნიკური უმცირესობისა და ქალების გარანტირებული წარმომადგენლობა; ხმების მინიმალური დანაკარგი; მაღალი ლეგიტიმაცია.

სისტემის უარყოფითი მხარეებია: სისტემის სირთულე, მოითხოვს საზღვრების დემილიტაციას, ხშირად საჭიროებს შეადედურ არჩევნებს.

საქართველოს საარჩევნო სისტემაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა:

- საარჩევნო ბარიერის დაწევა 4%-მდე ან სამი მაჟორიტარი დეპუტატის გაყვან პარტიას ბარიერის გადალახვად ჩაეთვალოს.
- ხმების ასახვა მანდატებში პარტიების ფორმულის გამოყენებით.
- პროპორციული არჩევნების გამართვა საერთო-ნაციონალურ დონეზე.
- ქალთა წარმომადგენლობის კვოტირება 10 %-ის ფარგლებში.

**II ალტერნატივა.** რეგიონულ-პროპორციული საარჩევნო სისტემა პროპორციული სისტემის სახესხვაობაა, რომელიც პროპორციული სისტემის ყველა თვისებასთან ერთად მოიაზრებს დამატებით კომპონენტს, კერძოდ, არჩევნების ჩატარებას რეგიონულ-პროპორციული დია სიების გამოყენებით, რა დროსაც ქვეყანა იყოფა რამდენიმე ათეულ

მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. თითოეულ ოლქში პარტია წარადგენს იმდენ კანდიდატს, რამდენი მანდატიც არის ოლქისთვის გამოყოფილი. ამომრჩეველი კანდიდატს ხმას აძლევს პრეფერენციულად, რაც უზრუნველყოფს გეოგრაფიულ პროპორციულ წარმომადგენლობას, ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის კავშირს, რაც მთავარია, პროპორციული სისტემის მთავარ უარყოფით ფაქტორს – ამომრჩევლისათვის რთული პარტიული სიებით წარდგენილ კანდიდატებში გარკვევის პრობლემას აბალანსებს. ამ შემთხვევაში ამომრჩეველი საკუთარი მიზანშეწონილობით აკეთებს არჩევანს არა მარტო მისთვის სასურველ კანდიდატზე, არამედ აყალიბებს მისთვის მიმზიდველ კანდიდატთა რიგითობასაც.

რეგიონულ-პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში არჩევნები ტარდება კონკრეტული რეგიონისთვის განკუთვნილი სიებით. სისტემის ეფექტური ფუნქციონისთვის, ოლქის სიდიდის საერთაშორისო სტანდარტთან გათანაბრებაა საჭირო, რომელიც, ვენეციის კომისიის რეკომენდაცით, 10-15%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. შედეგად მივიღებთ ამომრჩეველთა ნების პროპორციულ ასახვას მანდატებში, ამომრჩეველთა დაკარგული ხმების მინიმუმამდე დაყვანას და ხმის წონის თანაბრობის უზრუნველყოფას.

სისტემის რთულ საკითხს ბარიერი წარმოადგენს. ვინაიდან მანდატები რეგიონულ დონზე ნაწილდება, შესაბამისად, ბარიერიც რეგიონულ დონეზე განისაზღვრება, თუმცა ბუნებრივი ბარიერის შემთხვევაში, საქართველოს რეგიონებში ამომრჩეველთა არათანაბარი განაწილების გამო, ბარიერი რეალურად გაიზრდება, ხოლო კონკრეტული ბარიერის დაწესება მანდატების რიცხვის გაზრდას გამოიწვევს და, შესაძლოა, კანდიდატები მანდატების გარეშე დარჩენ. სისტემის დაებითი მხარეებია: ამომრჩეველსა და დეპუტატს შორის კავშირი; პარტიული ვერტიკალის შესუსტება; ეთნიკურ უმცირესობათა და ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი; ხმის მიცემის სიმარტივე.

სისტემის ნაკლოვანებებია: მოითხოვს საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებას; მოქმედ საოლქო საარჩევნო დაყოფის პირობებში ხმის თანაბრობა ისევ პრობლემას წარმოადგენს; პატარა პარტიებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები, მაგრამ მაღალი ბარიერის რისკი შესაძლოა დაბრკოლებად იქცეს; ხმის დანაკარგი საქმაოდ დიდია; ამომრჩევლის მხარდაჭერის პროპორციული წარმომადგენლობის დაცვა სხვა ალტერნატივებთან შედარებით ნაკლებია. მიუხედავად ამისა სისტემა ძალზე პოპულარულია ქართულ პოლიტიკურ წრეებში. მისი იმპლემენტაციისათვის საჭიროა:

- ფარდობითი უმრავლესობის გამოყენება;
- საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილება ისე, რომ დაცული იყოს ხმის თანაბრობის პრინციპი, რომლიდან გადახვევაც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იქნება დასაშვები.

**III ალტერნატივა – ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა – პოლიტიკური მეცნიერების მიერ ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საარჩევნო სისტემად ითვლება, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის მისი გამოყენება იშვიათად ხდება. სისტემა**

ერთადერთხელ იქნა გამოყენებული საქართველოს საარჩევნო პრაქტიკაში – 1991 წლის ოვითმართველობის არჩევნებზე. სისტემის კონცეპტუალური პრინციპები მე-19 საუკუნეში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს ინგლისელმა ტომას ჰერიმ და დანიელმა კარლ ანდრესმა.

სისტემა მრავალმანდატიან ოლქებს იყენებს. ამომრჩეველი ბიულეტენში კანდიდატთა ჩამონათვალს სასურველი რიგითობის მიხედვით აღიანგებს, აღტერნატიული კენჭისყრის სისტემის მსგავსად. უმეტეს შემთხვევაში ეს რიგითობა პრეფერენციულია და ამომრჩეველს არ მოეთხოვება ყველა კანდიდატის რანჟირება, ერთი პრეფერენციის გაკეთებაც საკმარისია.

პირველი პრეფერენციის ხმების ტაბულაციის შემდეგ იწყება დათვლა და დგინდება ერთი კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების კვოტა, რომელსაც ამ შემთხვევაში დრუბის კვოტა წარმოადგენს. იგი მარტივი ფორმულით გამოითვლება:

$$\text{კვოტა} = (\text{ხმები}/\text{მანდიდატი}+1)) + 1$$

შედეგს რამდენიმე დათვლის შემდეგ ვიღებთ. პირველი დათვლის შემდეგ დგინდება კანდიდატების მიერ მიღებული პირველი პრეფერენცია. თუ რომელიმე კანდიდატის პირველი პრეფერენცია კვოტას უტოლდება ან მასზე მეტია, იგი დაუყოვნებლივ გამარჯვებულად ცხადდება.

მეორე და შემდგომი დათვლის დროს არჩეული კანდიდატის ზედმეტი (ჭარბი) ხმები (რომელიც კვოტის ზემოთ იქნა მიღებული) ბიულეტენში მითითებული მეორე პრეფერენციების შესაბამისად გადანაწილდება.

თუ რომელიმე დათვლის შემდეგ არც ერთ კანდიდატს არ ექნება კვოტით გათვალისწინებული ხმები, მაშინ გამოირიცხება ის კანდიდატი, რომელსაც ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა აქვს და მისი ხმები გადანაწილდება დარჩენილ კანდიდატებზე. დათვლა გრძელდება იქამდე, ვიდრე ოლქისთვის გამოყოფილი ყველა მანდატი არ შეივსება იმ კანდიდატებით, რომელთაც დადგენილი კვოტა მოაგროვეს.

უპირატესობები: ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა, როგორც წარმომადგენლების არჩევის მქანიზმი, ყველაზე სიდრმისეულია სხვა სისტემებთან შედარებით. იგი უზრუნველყოფს ამომრჩეველსა და არჩეულს შორის კავშირს; საბოლოო შედეგებით პროპორციულობის სამართლიანი ხარისხით ხასიათდება; პარლამენტში ვიღებთ, მეტნაკლებად დაბალანსებულ გეოგრაფიულ წარმომადგენლობას; სისტემა ყველაზე უკეთ გადმოსცემს ამომრჩეველთა განწყობას; დიდია ამომრჩევლის გავლენა არჩევნების შედეგებზე და შემდეგ პოლიტიკურ პროცესებზე, რაც ხელისუფლების დეგიტიზაციის მაღალ ხარისხს განაპირობებს; პოლიტიკური ვერტიკალი შესუსტებულია; ეთნიკური უმცირესობებისა და ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში უზრუნველყოფილია.

ნაკლოვანება: სისტემა როგორი მექანიზმია და განათლებულ ამომრჩევების მოითხოვს; სისტემის მიხედვით ხმების დათვლა საჭაოდ როგორი პროცესია; სირთულეებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შედეგების გამოქვეყნება დაგვიანდეს.

ზემოთ განხილული ალტერნატივების ანალიზისა და მათი მახასიათებლების შეჯერებით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და თემის მკვლევართა და ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე რელევანტურად მიჩნეული იქნა ერთადერთი – გადაცემადი ხმის სისტემა, რომელიც გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, რაც მინიმუმადე დაიყვანს სისტემის უარყოფით მხარეებს, ყველაზე აღეკვატურად უპასუხებს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას ქვეყნის საარჩევნო სისტემა, ამისთვის კი საჭიროა:

- საქართველოს პარლამენტის მანდატების რაოდენობა გადანაწილდეს 3-4 მანდატიან ოლქებში;
- ამომრჩეველთა ხმის თანაბრობა უზრუნველყოფილი იქნას ოლქების საზღვრების ცვლილების ხარჯზე.
- ხმის დათვლის პროცესში გამოყენებული იქნას მაქსიმალურად ზუსტი ხმის დამთვლები ტექნიკური საშუალებები;
- უზრუნველყოფილი იქნას ხმის დათვლისა და ხმების მანდატებში ასახვის პროცესის გამჭვირვალობა.

## რეკომენდაციები

იდეალური საარჩევნო სისტემები არ არსებობს, ამიტომ სუვერენული ქვეყნისათვის საარჩევნო სისტემის შერჩევა ავტონომიურ საკითხს წარმოადგენს და პოლიტიკური სპექტრსა და საზოგადოებას შორის კონსენსუსით მიიღწევა. საარჩევნო სისტემის რეფორმას ხელისუფლება 2020 წლის საარჩევნო ციკლისთვის გეგმავს, თუმცა, ჩვენი აზრით, მუშაობა საარჩევნო სისტემის ფორმირებაზე უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. სისტემის ფორმირების პროცესში ყველა დაინტერესებული პირი და მხარე უნდა ჩაერთოს, მათ შორის, სამცნიერო საზოგადოებაც, მათი რეკომენდაციები დირექტული იქნება პროცესის წარმატებით დასრულებისათვის. ახალი საარჩევნო სისტემა უნდა სარგებლობდეს პოლიტიკური სპექტრისა და არასამთავრობო სექტორის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით და საქართველოს მოსახლეობის ნდობით. იგი უნდა უზრუნველყოფდეს იმ პრინციპების დაცვას და შესრულებას, რასაც ეფუძნება საარჩევნო სამართალი და, ზოგადად, სახელმწიფოს შემდგომი დემოკრატიული განვითარება.

## დასკვნა

ამრიგად, დემოკრატიული არჩევნები პოლიტიკური მმართველობის შეცვლის ან განახლების, პოლიტიკური ელიტის სელექციისა და მისი დეგიტიმურობის, ანუ მასების მიერ მისი მართვის უფლების აღიარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მთლიანობაში,

არჩევნები პოლიტიკური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლისა და ამომრჩეველთა საკუთარ ძალებში დარწმუნების ერთადერთი ლეგიტიმური შესაძლებლობაა, რაც, ხელს უწყობს ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-პოლიტიკური სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვან საგარანტიო ფაქტორს საარჩევნო სამართლის პრინციპების დაცულობა, სამართლებრივი მექანიზმებისა და საარჩევნო სისტემის პარამეტრების სტაბილურობა განაპირობებს.

საქართველო დღეს თავისი პოლიტიკური ამოცანებისათვის შესაბამისი საარჩევნო სისტემის ძიებაშია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისთვის. მართალია, ხელისუფლებამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე კვლავ ძველი საარჩევნო სისტემით ჩაატარა, რამაც მეტი მონიტორინგის საჭიროება შექმნა, თუმცა ქვეყნის საარჩევნო სისტემის რეფორმა, მისი ფუნქციურ-კონცეპტუალური დატვირთვიდან გამომდინარე, ერთობ სენსიტიური თემაა და მისი იმპლემენტაცია კომპლექსურად, ყველა დაინტერესებულ სუბიექტს შორის კონსენსუსისა და საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე უნდა მოხდეს, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია როგორც პროცედურულად, ისე დროის თვალსაზრისით, რათა საქართველოში დასრულდეს ფორსირებული და პერსონიფიცირებული გადაწყვეტილებების მიღების მანკიერი პრაქტიკა და არჩევნები რეალური პოლიტიკური შეჯიბრის ასპარეზად იქცეს, რაც ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ტრადიციას დაამკვიდრებს, პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდას და სტაბილური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

## ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული, თბ. 1998 წ.
2. ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2012 წ.
3. დემეტრაშვილი ა., კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო თბ. 2005 წ.
4. მაცაბერიძე მ., „არჩევნები და საზოგადოება“, „მეცნიერება“ თბ. 2003 წ.
5. მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია თბ. 1996 წ.
6. მელქაძე ო., საარჩევნო სამართალი, თბ. 2005 წ.
7. მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძირითადი გარანტიები, თბ. 1997 წ.
8. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 2014 წ.
9. საარჩევნო კოდექსი, თბ. 2014 წ.
10. სადამკვირვებლო ორგანიზაციების პროფესიული განვითარების ტრენინგი. bridge ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარქივო მასალები. 1995- 2015 წლები
11. ჰეივუდი ე. „იდეოლოგიები“ თბ, 2009 წ.

12. Лейкман Э.Ламберт Дж. Исследование мажоритарной и пропорциональной избирательных систем М. 1958 w.
13. <http://election-choice.blogspot.com/2011/12/blog-post.html>
14. [www.kas.de/wf/doc/kas\\_36475-1522-22-30.pdf?131223094855](http://www.kas.de/wf/doc/kas_36475-1522-22-30.pdf?131223094855)
15. [https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book\\_geo\\_web1.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf)
16. [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf2](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf2)
17. <http://www.aura.ge/menu/2-istoriebi/133-palitra/760-mazhoritaruli-saarchevno-sistema.html>
18. [https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book\\_geo\\_web1.pdf](https://emcrights.files.wordpress.com/2013/10/book_geo_web1.pdf)
20. <http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD>